ეხო

№ 19
წელიწადი პირველი
1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურათ . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით. . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

კვირა, 24 ნოემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕХО"
Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რადიუმი"

21, 23, 24 ნოემბერს.

I.
დიდ გზაზე
მონო-პოლური დრ. ნაწილათ. ასრულებ. მიუნხენის სამხატვრო-თეატრის მსახიობნი

II.
პატარა გაუგებრობა
დიდი კომიკური სურათი

რადგან სურათი დიდია, ამიტომ მხოლოდ სამი სეანსი მოეწყობა ერთ საღამოს.

დასაწყისი საღ. 5 ს.

ორშაბათს 25 ნოემბერს ნაჩვენები იქნება ახალი სურათები.

დრაფი
ბიბერი
ტრიკო
მაუდი.

პაევზე დამყარებული ამხანაგობა
ს. მ. კირაკოზოვი და ზ. გ. ოგანოვი

ბუმაზეი
ფლანელი
ვიგონი
შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი
საზამთრო საქონელი

კოტიკი
პლიუში
ველვეტი.

შაბათობით იყიდება
იაფათ ნაჭრები.

ველვიური
გენუია
იდეალი
ფლორა.

გაუბედურებული ქვრივი პელაგია გიორგი ყანჩაველის ასული წულეისკირისა შვილებითურთ ბაბულა და სოსიკოთი; თავზარდაცემულნი მშობლები ანასტასია ქაიხოსრო აბულაძის ასული წულეისკირისა და პეტრე ვასილის ძე წულეისკირი, გულმოკლული ძმები: აქიმი ვასილი, სტუდენტები ივანე და პიმენი პეტრეს ძენი წულეისკირნი, დები: ალექსანდრა პეტრეს ასული ლოსაბერიძისა, ნინო და ვერა პეტრეს ასულნი წულეისკირისანი, რძლები: ქვრივი ოლიმპიადა დავით ლეშკაშვილის ასული, ბარბალე გიორგი ზალდასტანაშვილის ასული, ნინო იოსებ ჰირაქაძის ასული წულეისკირისანი და სიძე აქიმი ევსევი გ. ლოსაბერიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ საცოდავათ დღემოსპობილის ტეხნიკის

დავით პეტრეს ძის წულეისკირის

უკანასკნელად გამოთხოვების დღეთ დანიშნულია კვირა, 24 გიორგობისთვე, ნაშვადღევის $2^1/_2$ საათი, და სთხოვენ მობრძანდენ და ანუგეშონ მწუხარებაში მყოფნი ჭირისუფალნი.

პანაშვიდები ყოველდღე, საღამოს ხუთის ნახევარ საათზე, დადიანის ქუჩაზე, საკუთარ სახლში. გასვენება საფიჩხიის სასაფლაოზე. ცალკე წერილებით დაპატიჟება არ იქნება.

ქვრივი კესარია დავითის ასული კაკაბაძისა, კოსტანტინე ათანას ძე, ნინო ეფრემის ასული, ელენე და გიორგი კაკაბაძენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გადაცვალებას პირველი ძვირფასი მეუღლისას მეორე და მესამე დაუვიწყარი მამისას, დანარჩენი ბაბულიკას

ათანას ოქროპირის ძის კაკაბაძისას,

რომლის დაკრძალვის დღეც დანიშნულია 24 ნოემბერს, დღით კვირას, ნაშვადღევს 3 საათზე, დაბა ხონში საკუთარი სახლიდან მაცხოვრის ეკლესიაზე.

ქუთათური და ქიათურელი ამხანაგები აუწყებენ მეგობართა და ამხანაგთ, რომ კვირას, 24 ნოემბერს, წმ. გიორგის ეკლესიაში არქიელის გორაზე დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი უდროოთ გადაცვალებული სტუდენტის

ალექსანდრე (საშა) მინას ძის ავალიანის სულის მოსახსენებლათ.

კვირას, 24 ნოემბერს, წმ. გიორგის ეკლესიაში არქიელის გორაზე გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი

სტუდენტი ალექსანდრე (საშა) ავალიანის

სულის მოსახსენებლათ, რასაც ნათესავთა და ნაცნობთ აუწყებენ განსვენებულის ჭირისუფალნი.

საქარის ამერიკული ვაზის სანერგე

ამით აცხადებს, რომ სანერგეში ყოველივე დასარგავი მასალის შეკვეთა ფოშტით შეიძლება მხოლოდ პირველ დეკემბრამდი. პირადათ შეკვეთა კი შეიძლება 1, 2-სა და 3 დეკემბერს. მასალის შეკვეთის დროს უნდა წარადგინონ 300 მეტრი ამერიკული ლერწის ბე არა ნაკლებ 4 მან. 13 შაურისა. წინაალმდეგ შემთხვევაში შეკვეთილი მასალა არ დამზადდება. ქუთაისისა და შორაპნის მაზრის

მცხოვრებთ დამყნილი ვაზი გარდა ციცქასი არ მიეცემათ.

ფასი „რუპესტრისა და რიპარია რუპესტრის" მომავალ წელიწადს (1914 წ.) ათასი ძირის—თუთხმეტი მანეთი და ათი შაური.

პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშვების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვების საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშვების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

დიდი იაფი ვაჭრობა
მოსკოვის საფართლო მაღაზიაში
(ვორონცოვის ქუჩა, საგუბერნიო სამართველოს ქვეშ)
18 ნოემბრიდან გაიხსნება
დიდი იაფი ვაჭრობა

დრაპების, მაუდების, ტრიკოების, აბრეშუმების, შალების, ზამთრის ჩითებისა და ყოველგვარი ფართლეულობის. ფასები დაკლებულია 40%, რაშიც მყიდველნი თვით დარწმუნდებიან. ფასი უვაჭროთ.

პატივისცემით გაბუნია.

ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

პაროსი { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნით და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა**
თფილისში.

ახლათ გამოშვებული პაპიროზები
„დელი-ბაბ"

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.

პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა" ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

ქუთაისი
პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.
მუდმივი საწოლებით
თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული . . .	1— 2
გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის	10—12
ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო	11—12
მ. დ. ბეთანოვი—კანის, ათაშანგი, ვენერ.	12— 2
ვ. ა. წოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ.	$12^1/_2$ 2

ს ა ღ ა მ ო თ.

გ. დ. ქორქაშვილი—თვალის	$4^1/_2$—$5^1/_2$
ვ. ა. წოდოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ.	$5^1/_2$—$6^1/_2$

სამკურნალოსთან მოწყობილია საავ.—სანიტარული კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. წოდოშვილი. წ.

აქიმმა ბ. ა. მირაქოვმა დროებით რუსეთში წასვლის გამო შეწყვიტა ავათმყოფების მიღება.

აქიმი ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

დიდი კეთილშობილების კატოლიკ. (?)

აქიმი ლ. დ. ნაზაროვი
მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

აქიმი გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ, და საღამოს 5—7 საათ, თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

კბილის აქიმი მახარაშვილი გადავიდა სტეფანოვის სახლში, ბალახვანის ქუჩის დასაწყისი.

აქიმი ქ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

აქიმი დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

დღევანდელი პრესის გამო.

ამ დღეებში დამტკიცდა წესდება ქუთაისში და ქუთაისის გუბერნიაში კომერციული ცოდნის გამავრცელებელი ვაჭართა საზოგადოებისა. დღეს ამ საზოგადოების დამფუძნებელნი იწვევენ ყველა ამ საქმის თანამგრძნობს პირველს საერთო კრებაზე. ასე რომ ოფიციალურათ მოქმედებას საზოგადოება დღეიდან იწყებს. ასეთი საზოგადოების დაარსება ღირსშესანიშნავ მოვლენათ უნდა ჩაითვალოს ჩვენს ცხოვრებაში, ამას გვიჩვენებს საზოგადოების მიზანი და ხასიათი. მართალია, ჩვენ ბევრი სხვადასხვა საზოგადოება გვაქვს; ყველა ამათ მეტათ სიმპატიური მიზანი აქვთ დასახული და შეძლებისადაგვარათ ცდილობენ მის განხორციელებას, ხოლო ახლათ დაარსებული საზოგადოება განსაკუთრებული ყურადღების ღირსია; მას განუზრახავს კომერციული ცოდნა მოფინოს დასავლეთ საქართველოს და პირველი ნაბიჯიც სურთ გადადგან დღეს ქუთაისში კომერციული სასწავლებლის დაარსებით. შესაძლებელია, ამ ახალ დაწესებულებასაც იგივე ბედი ეწვიოს, როგორც სხვა მრავალს, შესაძლოა, იგიც უსიცოცხლო და უმოქმედო იქნეს, საქმის მაგიერათ კეთილი განზრახვანი შეგვრჩეს ხელში, მაგრამ ის ფაქტი, რომ ჩვენში შეუგნიათ საჭიროება დიდებითი პრაქტიკული ცოდნის განხორციელებისა თავისთავათ საყურადღებო და მნიშვნელოვანია. ის ამტკიცებს, კლასიკური გიმნაზიებისადმი ტრფიალი

ოდნავათ განელებულა, ერთ დროს იდეალათ დასახული კანცელარიის მოხელეობა დღეს აღარაფრათ მოსწონთ. ეს ისეთი საღი სიმპტომია, რომ არ შეგვიძლია ყურადღება არ მივაქციოთ მას. ჩვენს ქვეყანას დღეს ყველაზე უფრო ესაჭიროება სამეურნეო, სამრეწველო, სახელოსნო და კომერციული ცოდნა. ასეთი ცოდნით აღჭურვილი პირნი, განავითარებენ თავის მოქმედებას სოფლათ, ქალაქათ, შეიტანენ ხალხში საღს პრაკტიკულ ცოდნას. ასეთი მოქმედება თუ უშველის ჩვენს დაცემულ სოფელს, ააყვავებს მის მეურნეობას და ნაყოფიერებას მისცემს ჩვენი გლეხის დაუღალავ შრომას. ვაჭრობა-მრეწველობა ჩვენში განუვითარებელიაო, ამბობენ, და, რასაკვირველია, სიმართლეც არის, ხოლო საქმე ისაა ვის როგორ ესმის ეს განუვითარებლობა, ვისთან, რომელ ქვეყანასთან შედარებით არის განუვითარებელი. თუ ინგლისს, გერმანიას ან საფრანგეთს შევადარებთ, სხვა საქმეა, ამათთან შედარებით თვით რუსეთის უზარმაზარი მრეწველობა ჩამორჩენილათ ითვლება, ხოლო თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ ჩვენ ყველაზე გვიან ვიწყეთ მოქმედება ამ ასპარეზზე, რომ გამოსვლამდი ბაზარი სხვებს ქონდათ დაპყრობილი; თუ მივაქცევთ ყურადღებას იმას, რომ ჩვენში დღესაც ძლიერი თავად-აზნაურული ტრადიციებია, რომელიც ვაჭრობა-მრეწველობის რომელი პატრიციის თვალით უყურებს, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ცოტა ხანში დიდი ნაბიჯი წაგვიდგამს წინ. ამის მომასწავებელია ამ ახალი საზოგადოების დაარსებაც. ბევრს გონია, რაკი ჩვენში სხვილი კაპიტალისტური წარმოება ჯერჯ-ჯერობით არ განვითარებულა, რაკი მანთაშევ-როტშილიდები არ გაჩენილან, ვაჭრობა-მრეწველობაც არ გვაქვს, ან თითქმის არა გვაქვს, ეს კი ეკონომიური ცხოვრების კანონების უცოდინარობას ამტკიცებს. საქართველომ სულ ორმოცდაათი წელიწადი არ არის, რაც ამ გზაზე ფეხი შესდგა, სადაც ყოველ ჩვენს ახლათ დაბადებულ ვაჭარ-მრეწველთა კლასს ყოველი მხრით ბრძოლა უხდებოდა სხვისაგან დაკავებული ადგილების მოსაპოვებლათ. ამ შედარებით მცირე დროს განმავლობაში ისე გამაგრდა, რომ წვრილი წარმოება ხელში ჩაიგდო და სასტიკ მეტოქობ-ს უწევს კონკურენტებს. ეს კაპიტალისტური მეურნეობის პირველი საფეხურია, სხვილი წარმოება კი უკანასკნელი. ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში ასეთი ნახტომები შეუძლებელია. ყოველ შემთხვევაში ჩვენი მეურნეობა იმდენათ მომძლავრებულია, რომ საკუთარ სასწავლებელს საჭიროებს. თუმცა, უნდა ვსთქვათ,—კომერციული სასწავლებლის გახსნა, თუ კი ქალაქის თვითმართველობა შვამდგომლობას აღძრავდა მთავრობის წინაშე თვითონ მთავრობა დააარსებდა მას. კომერციული სასწავლებლის შესახებ დებულების მე-6 მუხლი, სხვათაშორის, ამბობს: „ფინანსთა მინისტრი იმ თანხიდან, რომელიც უმაღლესის ბძანებით მის განკარგულებაშია, აძლევს შემწეობას როგორც პირველათ დასაარსებელ ხარჯისათვის, აგრეთვე ყოველწლიურათ; განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა ქალაქს თავისი ძალღონით არ შეუძლია ასეთი სასწავლებლის გახსნა, ამას კი ადგილობრივი ინტერესი მოითხოვს, ფინანსთა მინისტრი ხაზინის ხარჯით ხსნის კომერციულ სასწავლებელს. 1896 წ. დებულების ძალით ეს საქმე ფინანსთა მინისტრის განკარგულებაში იყო, ცხრაას ხუთი წლიდან კი ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ექვემდებარება. ეს არც დღეს არის დაგვიანებული, საჭიროა მხოლოდ დასაბუთებული მოხსენება წარედგინოს ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს. მთავრობისაგან გახსნილ სასწავლებელს ის უპირატესობა ექნება, რომ იქ გადასახადი უფრო მცირე იქნება. ამით საშვალება მიეცემა მცხოვრებთა უფრო ღარიბ ნაწილს ისარგებლოს მით. ახალი საზოგადოების მიერ გახსნილ სასწავლებელში კი, უეჭველია, გადასახადი ერთიორათ მეტი უნდა დაწესდეს, რომ სასწავლებელმა თავი შეინახოს, საზოგადოებას შეუძლია მეორე დაბალი ტიპის სასწავლებელი გახსნას როგორც ქუთაისში, ისე დასავლეთ საქართველოს სხვა ქალაქებშიც. ქალაქის გამგეობამ კი უნდა ისარგებლოს კანონით და მოითხოვოს ქუთაისში ზემო აღნიშნული ტიპის სასწავლებლის დაარსება.

როგორც ხედავთ, ახალ საზოგადოებას შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს ჩვენს ქვეყანას, თუ კი მცხოვრებნი მისდამი თანაგრძნობას გამოიჩენენ. დღეს ეყრება საფუძველი ამ საქმეს და იმედია—ყველა მხურვალე მონაწილეობას მიიღებს მასში.

სახელმწიფო სათათფირო.

22 ნოემბრის სხდომა.

რაძიანკო თავჯდომარეობს. შემოსულ საქმეთა შორის არის საკანონმდებლო წინადადება 1890 წლის საერობო დებულების შეცვლის შესახებ. განაგრძობენ მსჯელობას ნაკაზის შესახებ. კამათს იწვევს პროეკტის 62 მუხლი, რომელიც საკანონმდებლო წინადადებას ეხება. პროეკტის ძალით საკანონმდებლო წინადადების სასარგებლოთ შეიძლება ითქვას ორი სიტყვა და მის საწინააღმდეგოთაც ამდენივე. ხსენებულ სიტყვებს საზღვრენ ათი წუთით. ამგვარი განსაზღვრის წინააღმდეგ მიდიან ეფრემოვი, შინგარევი, კერენსკი და პეტროვსკი. ამ უკანასკნელმა ცხარე გამოთქმა იხმარა, რის გამოც თავჯდომარემ ჯერ წესიერებისკენ მოუწოდა და შემდეგ სიტყვის თქმის უფლებაც წაართვა. ათი წუთით განსაზღვრის სასარგებლოთ ლაპარაკობენ სკოროპოდსკი, გოროდილოვი და ტარასოვი. სიტყვის ათი წუთით განსაზღვრას ღებულობენ, 128 ხმით წინააღმდეგ 85 ხმისა. ნაკაზის პროეკტის რამდენიმე მუხლს, კომისიის რედაქციით, ღებულობენ. კენჭს უყრიან პროეკტის იმ მუხლს, რომელიც ეხება საბჭოდან დაბრუნებული კანონპროეკტის მიღების წესს. კენჭის ყრის დროს ამოჩნდა, რომ დეპუტატთა საკმაო რიცხვი სხდომაზე არ ყოფილა. სხდომას მცირე ხნით ხურავენ. ნაკაზის პროეკტის შესახებ მცირე კამათს შემდეგ სათათფირო იხილავს ხალხთა აღწერის კანონპროეკტს. იხილვენ შინაურ საქმეთა მინისტრის მიმართ მუშათა პროფესიონალური კავშირების დევნის გამო შეკითხვის სისწრაფეს. **ხლუსტოვი** აღნიშნავს ადმინისტრაციის თვითნებობას პროფესიონალურ საზოგადოებათა დახურვის საქმეში, ის ამბობს: მთავრობა მუშათა საზოგადოების ორგანიზაციებს უკანონო მოთხოვნილებას ურდგენს. ჩხრეკს სრულიად უსაფუძვლოთ მათ ბინებს და აპატიმრებს. თუ სათათფირო შეკითხვის სისწრაფეს მიიღებს, ამით ის მოსთხოვს ადმინისტრაციას, რომ მან აასრულოს კანონი, თუნდაც ეს კანონი მუშებს ეხებოდეს.

კუზმინი შეკითხვის სისწრაფით მიღების წინააღმდეგ მიდის და აღნიშნავს—შეკითხვები მთავრობის მიმართ სახალხო წარმომადგენლობის დიდ უფლებას წარმოადგენსო. სახალხო წარმომადგენლობას ამ უფლების წყალობით შეუძლია დაიცვას სამშობლო სიცრუისა და ბოროტ-მოქმედებისაგან. უკანონო და უმნიშვნელო საგნებზე შეკითხვები სათათფიროს ტრიბუნას სახელს უტეხს.

ბურიანოვი შეკითხვის სისწრაფეს მხარს უჭერს და აცხადებს, შეკითხვაში ყველაფერი საკმაო ცხადათაა. მოყვანილია მთელი რიგი ფაკტებისა მუშათა პროფესიონალური კავშირების დახურვის შესახებ. მთავრობა კავშირის წევრთ ასახლებს და ამ დროს კაპიტალისტთა ორგანიზაციებს კი მფარველობას უწევს. **ნოვიცკი** შეკითხვის სასწრაფოთ მიღების წინააღმდეგია. დროა ერთხელაც არის დასრულდეს ამგვარი შეკითხვების შემოტანაო. ორატორი ამბობს: პროფესიონალური კავშირები მანამდი ვერ განვითარდებიან ბუნებრივი გზით, სანამ ისინი ესდეკთა ფარველობაში იქნებიან. ესდეკები ხსენებულ საზოგადოებებში ეწევიან აგიტაციას და მუშებს არ აძლევენ საშვალებას ეკონომიურ საკითხებზე მოლაპარაკებისას. **ალექსანდროვი** კადეტების სახელით შეკითხვის სისწრაფეს მხარს უჭერს. მისი აზრით, ამ შემთხვევაში საქმე ეხება ძირითადი სამოქალაქო კანონების დარღვევას. ის ამბობს: პროფესიონალური კავშირების დევნამ სისტემატიური ხასიათი მიიღო. ძირითადი კანონები ადმინისტრაციის თვითნებობას ეწირება სხვერპლათ. შეუძლებელია ერთი ხელით შექმნა მუშათა დაზღვევის კანონები, ხოლო მეორეთი კი დააპატიმრო მუშები იმის გამო, რომ დამზღვევი კომისიის წევრები არიან. შეკითხვის სისწრაფე, 123 ხმით წინააღმდეგ 31 ხმისა, უარყვეს. იძლევიან წინადადებას, რომ კომისიამ ორი კვირის განმავლობაში ამ საგანზე მოხსენება წარმოადგინოსო. ამ წინადადებას მხარს უჭერს **ბალანოვსკი** და **პეტროვსკი**. წინააღმდეგ მიდის პაპჩინსკი. წინადადება, 118 ხმით წინააღმდეგ 74 ხმისა, უარყვეს. აქვეყნებენ ოკტომბრისტთა წინადადებას შესახებ იმისა, რომ ფინანსიურ კომისიას დაევალოს სამი კვირის განმავლობაში ერობებისა და ქალაქების ფინანსიურ მდგომარეობაზე მოხსენება წარმოადგინოს. წინადადებას ღებულობენ. თავჯდომარის ამხანაგის არჩევა გადასდვეს სამშაბათისათვის. შემდეგი სხდომა საღამოს.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲒᲐᲕᲘ.

დღეს, 24 ნოემბერს, სახალხო უნივერსიტეტი (თეატრ „რადიუმი") ჩიეულებრივ ლექციებს მართავს. გრ. ნასარიძე ისაუბრებს ქუთაისის წყალსადენის მოწყობის შესახებ. შემდეგ ალ. გარსევანიშვილი წაიკითხავს:—„რუსეთის უფლების გავრცელება კავკასიაში" შემდეგი შინაარსით: საქართველოს რუსეთთან შეერთება; ბრძოლა მამადიან ხალხებთან; ერმოლოვის პოლიტიკა და მისი შედეგი; მიურიდიზმი და მისი დედა აზრი; შამილი, როგორც დაღისტნისა და ჩაჩნეთის შემაერთებელი. მისი დამარცხება. ჩერქეზების განდევნა კავკასიიდან. დასაწყისი 12 საათზე.

✦ დღეს ქუთ. საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა კრება იწყება. კრება გაიხსნება დილის 10 საათზე ბანკას დარბაზში. სხვათა შორის, განსახილველია ბანკის მოსამსახურეთა შტატის შემუშავების შესახებ; ზედამხედველი კომიტეტისა და გამგეობის მოხსენება მოსამსახურეთა დაჯილდოების შესახებ ის შემთხვევაში' თუ იგინი პენსიის დამსახურებამდი სამსახურს თავს დაანებებენ; გამგეობის მოხსენება იმის თაობაზე, რომ ფინანსთა სამ. განზრახვა აქვს შეიყიდოს ბირჟაზე გასაუქმებელი გირავნობის ფურცლები ტირაჟში მათი დაქრობით.

✦ დღეს ქალაქის თეატრში ლიტერატურულ მუსიკალური საღამო გაიმართება, რომელშიც, სხვათა შორის, მონაწილეობას იღებენ გ. თუთფერიძე (სიმღერა), ყარაგოზიანი (სკრიპკა), ხაჩატუროვი (ვიოლონი), მგელაძის ქალი (პიანინო); ნ. შარაბიძე (აკომპონ.); ლიტერატურულ განყ.: ია ეკალაძე, ვ. რუხაძე, ქუჩიშვილი და სხვა.

✦ გუბერნატორმა ნება დართო ლეკტორ პ. გელეიშვილს ლექციების კითხვა გამართოს—„ილია ჭავჭავაძე, როგორც მწერალი და პუბლიცისტი"—ქუთაისში, ჭიათურაში, ფოთში და ჰროვინციებში.

✦ ტყიბულში მუშები მომხმარებელ საზოგადოებას აარსებენ.

✦ ამ თვის ოცდარვას „რადიუმში" სეანსები გაიმართება „სასოფლო გაზეთის სახსრის გასაძლიერებლათ. საზოგადოება ვალდებულია თავისი წვლილი არ დაიშუროს ამ სასარგებლო ორგანოსთვის.

✦ დამსახურებულ მსახიობს კ. ყიფიანს იუბილეს უმართვენ სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავათ. კომისიამ დაადგინა ეს იუბილე 26 იანვარს მოაწყონ. აქმ ივ. გომართელს მიანდვეს მსახიობის ბიოგრაფიის შედგენა და საიუბილეო კომისიის მდივანს დუმბაძეს მინდობილი აქვს მი წოდება გამოსცეს ქართველი საზოგადოების მიმართ.

✦ მგოსნის გრიშაშვილის „გენაცვალე" მუსიკაზე გადაღებული ბონჯიოვანის მიერ გამოიცა და იყიდება 5 შაურათ.

✦ გაზეთებში სიმართლეს მოკლებული ხმებია მოყვანილი ქუთაისის გუბერნატორის სლავოჩინსკის მძიმე ავათმყოფობის შესახებ, რამდენათაც ვიცით, გუბერნატორი ჯანსაღათაა.

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ.

კავკასიის ქალაქების წარმომადგენელნი ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნ. ფ. რუდოლფმა ცენტრალური პედაგოგიური მუზეუმის დასათვალიერებლათ მიიწვია. წარმომადგენელთ დილის 10 საათზე თავი მოიყარეს სახალხო სახლში და იქიდან მუზეუმის დასათვალიერებლათ გაემგზავრენ. დათვალიერებამ ორ საათს გასტანა.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ.

სტამბოლში ამოაჩინეს შეთქმულობა, რომელსაც მიზნათ ქონდა დასახული სომხების დარბევა.

— გერმანია ოსმალეთს სომხეთში რეფორმების განხორციელებისათვის სამი წლის ვადას აძლევს.

— აღმოსავლეთის რკინის გზის შესახებ სერბიასა და ავსტრიას მოლაპარაკება აქვთ.

— ბეილისის პროცესზე ცნობილი ქსენძი პრანაიტისი კოვნოში ეფისკოპოზათ დანიშნეს.

— პარიზში სომეხთა კონფერენციაზე გამოითქვა აზრი, რომ თუ ოსმალეთმა სომხეთში რეფორმები ნებაყოფლობითი ვერ განახორციელა, მაშინ სომხებს რუსეთი გამოესარჩლოსო. ინგლისის დელეგატმა განაცხადა: ინგლისს არაფერი ექნება საწინააღმდეგო. თუ რუსეთი ამ საქმეში ჩაერევაო.

— შინაურ საქმეთა მინისტრისადმი მიმართული შეკითხვის სისწრაფე სათათფირომ უარყო. შეკითხვა პროფესიონალური კავშირების დევნას ეხებოდა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲗᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒᲘ.

„ᲜᲐᲒᲐᲕᲘ".

პიუკაშვილის ახალი დრამა ქართულ სცენაზე.

(ახალ „ერი"-ს 18-ე №-ი).

რა ღირებულობა აქვს ჩვენთვის „ნაგავისებურ" პიესებს? რა მნიშვნელობა აქვს ამ ნაწარმოებს? ყოველი ნაწარმოები უნდა გავარჩიოთ ისტორიკო-ლიტერატურული და ფსიხოლოგიური მხრით, როგორც თანამედროვე პსიხოლოგიის გამომხატველი.

არც ერთისა და არც მეორე მხრით ამ ნაწარმოებს ჩვენთვის არავითარი ღირებულობა არ აქვს. პიესას საფუძველი ყალბი აქვს, მაშასადამე, მთელი ნაწარმოები სიმართლეს მოკლებულია, როგორც გამომხატველი ისტორიული სინამდვილისა და ამიტომ მნიშვნელობა არ აქვს. მეორე მხრით პიესა ვერ გამოხატავს რასმე მთლიან ფსიხოლოგიას, ვერც მაყურებელი ხედავს იქ თავის ფსიხოლოგიის გამოხატულებას; როგორც მხატვრულ ნაწარმოებს მას აგრეთვე არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.

მწერალს ეპატიება, როდესაც მხატვრულობას ხანდახან შესწირავს ისტორიულ სინამდვილეს, მაგრამ, როდესაც არც მეორე და არც პირველი, ეს ნიჭიერ ავტორს არ ეპატიება. ესთეტიკა განვითარებული მხატვარი კი არადროს არ ათქმევინებს სცენიდან თავის ნაწარმოების გმირს: „ახლა ისეთ ძალასა ვგრძნობ, რომ საფრანგეთმა წამიყვანოს ერთი წლის განმავლობაში ერთ მილიონ სულს შევმატებო". ეს და ბევრი ისეთი ტლანქი, მოუხეშავი და ცინიკური ფრაზა სრულიად უკარგავს ნაწარმოებს ფასს, როგორც მხატვრულ ნაწარმოებს. გარდა ამისა, ავტორმა ამ პიესაში სრულიად ვერ გამოიჩინა ფსიხოლოგიის ცოდნის უნარი. განა ასეთია ფსიხოლოგია ჩვენი საზოგადოებისა? ნუთუ იგი ვერას ხედავს კარგს მომავალში მაინც, თუ თავადაზნაურობასა და ინტელიგენციაში არა, გლეხობაში მაინც? ჩვენი ცხოვრების უკეთესობას შეეძლო პესიმიზმის წარმოშობა, მაგრამ განა შეიძლება ასეთი პესიმიზმი ბნელ უკუნეთური, გაუვალი? ნუთუ ჩვენს საზოგადოებაში ერთი ნაწილი არ მოიპოვება ისეთი, რომელსაც ცოტაოდენი დადებითი მხარეები არა ქონდეს, ნუთუ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრება მხოლოდ ჩვენი არსებობის უარყოფაა? არა, რასაკვირველია! თუ არის რაიმე ისეთი, როგორც ავტორს დასახული აქვს პიესაში (ჩვენ საეჭვოთ მიგვაჩნია, რომ ჩვენს ცხოვრებაში იყოს ასეთი კერძო ტიპებიც და მოვლენაც), იგი მხოლოდ საზოგადო მოვლენა იქნება, სრულებით შეუმჩნეველი, უმნიშვნელო. კერძო თითო-ოროლა შემთხვევისა და მოვლენის ნაწარმოებთა მიხედვით მთელი საზოგადოების გამოყვანა პიესაში, მისი უარყოფა, ეს არათუ შეცდომაა, არამედ შეცოდებაც. როგორი უნდა იყოს ფსიხოლოგიური გავლენა ამ პიესისა ხალხზე, სრულებით უკეთესმართი იმისა, რომელსაც ყოველი მწერალი უნდა ემსახურებოდეს. ეტყობა, ავტორს აკვიატებული აზრი ქონდა მიწასთან გაესწორებია ქართველი საზოგადოება და ამან ჩაადენია ის, რაც არ ეპატიება არც ერთ საშვალო მწერალსაც, არათუ ისეთს ნიჭიერ დრამატურგს, როგორათაც მიგვაჩნია ჩვენ ბ-ნი პიუკაშვილი. ამ წინდაწინ აკვიატებამ აზრისა იმსხვერპლა უკანასკნელ ნაწარმოებში პიუკაშვილი მწერალი და დრამატურგი პიუკაშვილი—მხატვარი.

პიესა ტეხნიკური მხრითაც სრულებით არ ვარგა. პირველი მოქმედება გვარიანათ იწყება, შემდეგ რისთვისღაც და ვისთვისღაც ავტორი გადადის ლიტერატორებზე და წარმოუშობია ის, რასაც ჩვენი ცხოვრება არ იცნობს. შეიძლება კაცმა ყველაფერი დასწამოს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს, შეიძლება მიკერძოება და სხვა, მხოლოდ მოსყიდვის დაბრალება და ისიც სომხების მხრით დიდი ცილისწამებაა. გარდა ამისა, სად ნახა ბ-ნმა პიუკაშვილმა ასეთი აბსტრაქცია, როგორიც პეტრეა. ნუთუ ჩვენში ყოფილა ისეთი ქართველი, რომელსაც იდეალებისთვის შეეწიროს თავისი პირადი ცხოვრება, თავისი კეთილდღეობა, თავისი ოჯახი? სამწუხაროთ სწორეთ ის გაგვჩენია, რომ ყოველი ჩვენგანი პირად საქმეებს გაცილებით მეტ ყურადღებას ვაქცევთ, ვიდრე საზოგადოებრივ იდეალებს და მათს სამსახურს, სამწუხარო მგონი ისა გვაქვს, რომ იდეალებია იგი, თუ საზოგადოებრივი მოღვაწეობა, ყველას „სხვათაშორის" ვემსახურებით, საოჯახო საქმეები თუ პირადი ინტერესები კი პირველ რიგში გვყავს ჩაყენებული. მესამე მოქმედებაში პეტრეს ბავში უკვდება, თვალცრემლიანი ცოლი ემუდარება „აქიმი, მალე აქმი"-ო, პეტრეს კი არა ესმის-რა, ყურადღებას არ აქცევს ცოლის ტირილს, ბავშის ავათმყოფობას და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორმე კარგი მოწოდება დასწეროს. ავტორის უმთავრესი გმირი, ისეთივე უარყოფითი ტიპია, როგორც ყველა დანარჩენები; ის ფანტაზიორია, რეალურს, უახლოეს არავითარ ყურადღებას არ აქცევს და უკიდურესი იდეალისტი ხდება სხვერპლი რაღაც სრულიად უმნიშვნელო, საძაგელი ადამიანებისა, რომელთა საერთო სახელი ნაგავია. პეტრემ წაიგო ომი. ვსთქვათ, ასეთია ქართველი საზოგადოება: პატიოსან ადამიანს მასში არ ეცხოვრება, ან და თუ იცხოვრებს, ან შეეცდება მასთან ბრძოლას უეჭველათ ჭკუაზე შესცდება. მაგრამ რა საჭირო იყო ეეოთხე მოქმედება, გიჟი პეტრეს გამოყვანა სცენაზე და ანეტას დახჩობა გიჟი პეტრეს ხელებით, როდესაც დედა აზრი ავტორისა სრულიად საკმაოთ გამოხატული და დამახასიათებელია. გარდა ამისა ავტორს შესწავლილი არ ქონია გაგიჟებულთა ტიპები. პეტრე შეიშალა ისე, რასაც ქვია რუსულათ „тихое помѣшательство", ისეთ შეშლილებს ერთი რამე idée fixe"-ი დაყვებათ ხოლმე, მუდამ მითი არიან გართული, სხვა აღარა ახსოვთ რა, პეტრე შეიშალა ქართველების მიერ მამულების გაყიდვაზე, ეს იყო მისი „idée fixe", იგი კი იმავე დროს სქესობრივი მოთხოვნილების უნარსაც იჩენს, რასაც ფრიად გარკვეულათ ატყობიებს ანეტას. გარდა ამისა, მთელ სიტყვასაც წარმოსთქვამს, რომელშიც უთავბოლოთ სხვადასხვა აზრს ეხება. ბევრი აქვს კიდევ პიესას ნაკლი, მაგრამ რეცენზიაში ყველაფრის აღნიშვნა შეუძლებელია. წერილი ისეც გაგვიგძელდა. ერთი სიტყვით პიესამ არათუ არ დაგვაკმაყოფილა, არამედ ძლიერ გვაწყენია კიდეც. გვაწყენია მით, რომ ასეთი ნაწარმოები სრულებით არ შეეფერება ნიჭიერი დრამატურგის პიუკაშვილის კალამს.

შეიძლება, ცოტა მკაცრათ მოვეპყარით ბ-ნი პიუკაშვილის ახალ ნაწარმოებს, მაგრამ დარწმუნებული უნდა იყოს იგი, რომ ეს პიესა მეტი სიმკაცრის მოპყრობის ღირსია, რადგან „ვინც მეტათ არის დაჯილდოებული ნიჭით, მას სხვაზე მეტიც მოეთხოვება".—პიესის შესრულებაზე ლაპარაკი მეტია, რადგან ყალბ ნიადაგზე აშენებულ პიესის შესრულება ძნელია.

ჭიანური.

21 ნოემბერს, ნაშვადღევის 3 საათზე კავკასიის ქალაქების წარმომადგენლებმა სახალხო სახლის ეზოში ფოტოგრაფიული სურათი გადაიღეს.

✦ „ვეფხის ტყაოსანის“ გამოცემის გამო. გამომცემლობა „მწიგნობრობის ქვეყანა“ გვთხოვს გამოვაცხადოთ ხელის მომწერთა და კომისიონერთა საყურადღებოთ, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ მეცნიერული გამოცემის (ი. აბულაძის რედაქტორობით) წიგნის ბეჭდვა წესიერათ მიმდინარეობს და დაურიგდება აგენტებსა და ხელისმომწერლებს იანვარში—აგენტებმა ხელისმომწერთა სიები და ანგარიშები უნდა წარმოადგინონ არა უგვიანეს 5 დეკემბრისა, რადგან საჭიროა ხელისმომწერთა რაოდენობის გამორკვევა და მისი მიხედვით წიგნების რიცხვის დაბეჭდვა. 1 დეკემბერს შემდეგ აგენტებთან ხელისმოწერა შესწყდება. 1 დეკემბერს შემდეგ ხელისმოწერა 15 დეკემბრამდი გაგძელდება, მხოლოდ წიგნის დაკვეთის მსურველთ უნდა მიმართონ პირდაპირ გამოცემის რედაქტორს. ფული და კორესპონდენციები იგზავნება შემდეგი მისამართით: **თფილისი, კაბგერნოვსკაია, სახ. № 29. ია. ს. ბაულაძეს.** ხელისმოწერით წიგნი ღირს: კარგ ქაღალდზე, ძკირფასი ყდით—2 მან., მდარე ქაღალდზე 1 მან., ხელისმოწერის შეწყვეტას შემდეგ წიგნი ეღირება: კარგ ქაღალდზე ყდით 4 მანეთამდი, მდარე ქაღალდზე—1 მან. ათი შაური.

ქუთაისის გუბერნიის წვრილი კრედიტის წარმომადგენელთა კრება.

(გაგძელება, იხილეთ „ერის“ № 14).

18 ნოემბერს კრება გახსნა თ. ბ. წულუკიძემ პირველ საათზე. ბ. დ. მდივანმა კრებას მოახსენა კომისიის მიერ შემუშავებული ზომები დამშეულთა დახმარების ამოსაჩენათ. კომისიის წევრთ უხელმძღვანელებიათ იმ ცნობით, რომელიც მიუწვდენია 59 წვრილი კრედიტის გამგეობას კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებისათვის; ამ ცნობების მიხედვით ერთგვარათ დაზარალებულა წელს მოუსავლობის მხრით ყველა საზოგადოება. ქუთაისის, შორაპნის, რაჭისა და ლეჩხუმის მაზრები უფრო მეტათ დაზარალებულან, ოზურგეთის მაზრაში კარგი მოსავალი ყოფილა მარტო ერთ გურიანთის ნახევარ საპოლიციო უბანში, ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და გურიანთის ნახევარ ლბანში კი მკირე, ზუგდიდსა და სენაკის მაზრებში ზღვის პირათ ყოფილა მოსავალი, მაღლობ და ზეგან ადგილებში აქაც დაზარალებულან მცხოვრებნი; ქუთაისის, რაჭისა ლეჩხუმისა და შორაპნის მაზრის მცხოვრებთ სიმიდი 3 თვეზე მეტათ და ოზურგეთის მაზრას კი 4 თვეს თუ ეყოფათ მოსავალი. ქცევა ადგილს ქუთაისის მაზრაში, რომელიც წინა წლებში იძლეოდა საშვალოთ 24 ფუთ სიმიდს, წელს მოუცია ხუთი; რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში 20 ფუთის ნაცვლათ—5 ფუთი; ოზრუგეთის მაზრაში 25 ფუთის მაგიერ—8 ფუთი, და შორაპნის მაზრაში 4 ფუთი 17-ის ნაცვლათ. ზუგდიდისა და სენაკის მაზრებიდან განყოფილებას ცნობა არ მოსვლია. 1911 წლის სტატისტიკური ცნობის მიხედვით ქუთაისის მაზრაში ყოფილა 34,860 კომლი მოსახლე, ოჯახში ხუთი სულის ანგარიშით; სულზე რომ 25 ფ. სიმიდი ვიანგარიშოთ, ოჯახს დასჭირდება 125 ფუთი, თვეში $10^1/_2$ ფუთი, მთელი მაზრის მცხოვრებთ—3,311,700 ფუთი სიმიდი; შორაპნის მაზრის 29,619 კომლ მცხოვრებს—2,818,865 ფუთი; რაჭის მაზრის 10,600 კომლს-1,000,700 ფუთი, ლეჩხუმის მაზრის 8,388 კომლს 796,864 ფუთი და ოზურგეთის მაზრის 13,725 კომლს—1,166,625 ფ. სიმიდი, და სრულიად ქუთაისის გუბერნიის ხუთსავე მაზრის მცხოვრებთ დასჭირდებათ 9,095,994 ფუთი სიმიდი; რაც შეეხება საქონლის საკვებს, იმავე სტატისტიკური ცნობების მიხედვით, ყველა ამ მაზრაში ყოფილა 1911 წელს 152,522 სული საქონელი; დღე და ღამ რომ, ათი გირვანქა თივა ვიანგარიშოთ, დასჭირდება 2,288,280 ფუთი თივა. რადგან წელს მოუსავლობის მხრით ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებნი უკიდურესს მდგომარეობაში იმყოფებიან და გუბერნიაში არაა ერობა, რომელიც იზრუნებდა მცხოვრებთა საჭიროებაზე, იქნას აღსძრული შვამდგომლობა უმაღლესი მთავრობის წინაშე, რათა ჩვენს ქვეყანაში შამოიღონ ერობა და დღეს კი დაევალოს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებას: აღძრას მთავრობის წინაშე შვამდგომლობა, რომ დაარსდეს ადგილობითი კომიტეტი და ცენტლარული. ცენტლარულ კომიტეტს ერქმევა ქუთაისის გუბერნიის დამშეულთა დამხმარე კომიტეტი, რომლის შედგენილობაშიც შევლენ თავჯდომარეთ ქუთაისის გუბერნატორი, წევრებათ წარმომადგენელნი ქუთაისის. სახელმწიფო პალატისა, ბათომის სახელმწიფო ბანკის განყოფილების, ქუთაისის სახელმწიფო ქონებათა, ქალ. ქუთაისის თვითმართველობის, ქუთაისის სამეურნეო განყობილების, ქუთაისის თავად-აზნაურობის, სათავადაზნაურო ბანკის და თითოეული წარმომადგენელი მაზრიდან წვრილი კრედიტის ამხანაგობათა; უკეთუ ამ შედგენილობით კომიტეტი ვერ მოხერხდეს, დაევალოს ქუთაისის წვრილ კრედიტთა კომიტეტს. ადგილობითი კომიტეტებში შევლენ წვრილი კრედიტის გამგეობა, სადაც არსებობს და, სადაც ასეთი არაა, უნდა მოიწვიონ საზოგადო ყრილობები, განურჩევლათ წოდებისა და სარწმუნოებისა, ერთმანეთის პასუხის მგებლობით, და აირჩიონ თავის შორის კომისია. სამეურნეო განყოფილებამ უნდა აღსძრას შვამდგომლობა უმაღლესი მთავრობის წინაშე, რათა მიეცეს დამშეულთ ერთდროული დახმარება, ან და ითხოვოს კრედიტის გახსნა სახელმწიფო ხაზინიდან უსარგებლოთ, რომელი სესხიც უნდა იქნეს გადახდილი ხალხის მიერ თუთხმეტი წლის განმავლობაში; მოიპოოს უფლება სანოვაგის უტარიფოთ რკინის გზით გადმოზიდვისა; აღსძრას შვამდგომლობა, სადაც ჯერ არს, ყოველივე სახელმწიფო გადასახადები მომავალი 1914 წლისა გადაიდვას ერთი წლითა და მოიკრიფოს ხუთი წლის განმავლობაში უსარგებლოთ; გადასახადები საოთავად-აზნაურო და საგლეხო ბანკებში გადადებულ იქნას 5 წლით; ბათომის სახელმწიფო ბანკის განყოფილებამ მოკლევადიანი სესხები, რომელიც აქვს გაცემული წვრილი კრედიტის ამხანაგობებზე გადასდვას ერთი წლით. „პროდოვოლსტვენი კაპიტალი“ გადავიდეს წვრილ კრედიტთა კასაში ძირითადი თანხის გასაძლიერებლათ; აღსძრას შვამდგომლობა—საგუბერნიო კომიტეტს მიეცეს ნება შეაგროვოს მთელი რუსეთის სახელმწიფოში შემოწირულობა; ვიდრე საგუბერნიო კომიტეტი შესდგებოდეს, სამეურნეო განყობილებამ მიიღოს შეწირულობა. საგუბერნიო კომიტეტის მოვალეობას შეადგენს: ყიდვა და გადმოზიდვა დამშეულთა დასარიგებელი სანოვაგისა; სანოვაგის განაწილება საზოგადოებებზე; თვალყურის დევნა ადგილობითი კომიტეტების მოქმედებისა, რომ ადგილობითი კომიტეტებმა წესიერათ გაანაწილონ თავისი საზოგადოების მცხოვრებლებზე გაცემული სესხი, თუ საჩუქარი; აკრეფა და წარდგენა გაცემული სესხისა თავის ვადაზე; ცნობების შეკრება ყოველი საზოგადოებიდან წრევანდელი მოუსავლობის შესახებ. ადგილობითი კომიტეტების მოვალეობას შეადგენს: განაწილება და აკრეფა მიცემული სესხისა და წარდგენა თავის ვადაზე საგუბერნიო კომიტეტში.

კრებას უმრავლესობამ სასურველათ სცნო ჩაეწეროს წევრებათ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში წვრილი კრედიტის ყველა ამხანაგობა, შეკრანკავშირი ერთმანეთ შორის და წელიწადში ერთჯერ მაინც ხდებოდეს საგუბერნიო კრება და ეცნობოდეს წარმომადგენლები ერთმანეთის მდგომარეობას. საზოგადოებამ მადლობა უძღვნა სამეურნეო განყოფილების გამგეობას ამ შრომის მიღებისათვის და საღამოს $3^1/_2$ საათზე კნება დაიხურა. **ვეტია.**

სამძიმარი.

სტეფანე დუქნიდან ძალიან მთვრალი გამოვიდა. ხან კედელს მიაწვებოდა, ხან კი ფარნის ბოძს გადაეხვეოდა.

— აფუუ!—გაყვიროდა და ხან ჩახლეჩილი ხმით ჩაიმღერებოდა:

გაუმარჯოს... საქართველოს...

გაეტანოს... ბურთი... ლელოს!

ვინ იცის, რამდენ ხანს დარჩებოდა იგი გზაზე, რომ ქუჩის მეორე ნაპირიდან მისთვის ერთ ნაცნობს თვალი არ მოეკრა.

— სტეფანე კიდევ თვრალი ხარ?—

— მთვრალი?! არა, მე მთვრალი როდი ვარ!

შენ ხარ მთვრალი... მე მთვრალი არა ვარ...

ახლა ღვინო, მაჭარია... ხახისკენ რომ ჩააქანებ, ცხვირიდან ბულათ გამოდის...

მე მთვრალი არა ვარ... მართალია, ფეხები ცოტას ეშმაკობენ, მაგრამ ეს რა ჩემი ბრალია? ფეხია მთვრალი და არა მე!

— სტეფანე, იცი ახალი ამბავი?

— რა ამბავი?

— ამ სალამოს ჩვენს ივანეს ცოლი მოუკვდა... იქიდან მოვდივარ...

— უჰ, საწყალი ივანე!—წამოიძახა სტეფანემ და უნდოდა ნაცნობს დასწეოდა, მაგრამ გაუჭირდა და ღობეს მიაწვა. შემდეგ ადგილიდან დაიძრა და ხმამაღლა დაიწყო საუბარი:

— საწყალი ივანე! დაღუპულა... ცოლი, მერე რა ცოლი .. ყველას უყვარდა... ცხონებული ძალიან, ძალიან მხიარული იყო... არა, ახლავე წავალ ივანესთან... ე, ბეჩა, სად არის სამართალი! ზუთხივით ქალი შავს სამარეში უნდა ჩაწვეს?

და სტეფანე ივანესკენ გაემართა.

ვაი ვაგლახს შემდეგ, როგორც იქნა, მიაწია იყანეს სახლს და ოთახში რიხიანათ შევიდა. შუაგულ ოთახში ზეწარ გადაფარებული მიცვალებული ესვენა.

ივანემ სტეფანეს დანახვაზე ტირილი მორთო. სტეფანემაც მიუსამძიმრა, მიუტირა:

— დაგცევია სახლ-კარი და ეს არის, ჩემო ივანეე!

— დავიღუპე, ჩემო სტეფანეე.

— შე საწყალო... ვაი, ჩვენი ცოდვაა!

— რა ქალი იყო, ჩემო სტეფანეე!

— იმისი ფასი ბევრმა იცოდა, ჩემო ძმაო!—

სტეფანე მოთქვამდა, რომ ელსაც სიმთვრალე თანდათან ერეოდა.

— მიღალატა მარა, რავა მიღალატაა მაგ საცოდავმა!

— ახლა ხო სულ უღალატია მაგ უბედურს!!

— რა დიასახლისი იყო...

— ყველას უმასპინძლდებოდა... უმასპინძლებოდა!

და სტეფანე ტახტზე დაეკა.

ივანე მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ სტეფანე მთვრალი იყო. თვალები აენთო, გულზე ბოღმა მოაწვა. წვდა სტეფანეს კარებამდი მიათრია და ერთი ლაზათიანი პანღური ამოკრა, შემდეგ ცოლს გაცოფებულივით მიუბრუნდა და უთხრა:

— სიცოცხლეში უბედური იყავი და სიკვდილს შემდეგაც არ გესმის, როგორ დაგცინინო. **ჯ. ჯორჯიკია.**

კვირიკე.

კაი ხანია არ მიმასლაათია. ჩასაკვირიკებელი იყო, ზოგი იქეთური ზოგიც აქეთური და იქეთ-აქეთიდან საყვედური გამაგონეს—რამ დაგამუნჯაო, მარა ერთი მაცოდინა, ის ჩემი მესაყვედურე რა ენამეტყველი ბძანდება თვით, რა მოკალმე რო მე მისაყვედურებს?!

საქმე ის კი არაა, ენის ტრიალისა და კალმის სრიალის უნირი გქონდეს, სიტყვაც შეეძლოს და წერაც...

საქმე ისაა, სთქვა—რაც სათქმელია, დასწერო, რაც დასაწერია...

მაგალითად, მე რო ახლა მოვინდომო, „უპრაგონოთ“ ავაღირო თავი და ვსთქვა, რომ ზესტაფონის ზოგიერთი „იტლიკენტები“ სულ გაბიუურებულა-თქო, ამის დიდი საბუთი უნდა მქონდეს -რამე, და ის რა საბუთია, რო ამ „იტლიკენტებს“ ტლინკვა მოუნდათ. და ამას წინათ ერთ „ჩესტნათ“ ნამსახურ კაცს, სადილი გაუმართეს იმ ღვაწლისთვის, რა ღვაწლიც მან მთელს მაზრას დასდვა. ამ ღვაწლისთვის იგი ერთი მაზრიდან მეორეში გადაიყვანეს და დღეს კი, ესოდენ ღვაწლმოსილი, სულ დაითხოვეს... ყველაფერი ეს უკვე ფაკტია, მარა საბუთი უნდა... ამისთანა უბედურობა მინახავს? თუ კი ფაკტია, რიღას საბუთი გინდა!? ფაკტი საბუთიკაა და ჭეშმარიტებაც!..

ვერ მოგართვეს ბადრიჯანი! რამდენი ფაკტია, მარა, აბა, თუ ბიჭი ხარ და იტყვი, დასწერ... მაშინვე ფაკტის საბუთს მოგთხოვენ და დაუსაბუთებელი ფაკტი, ათასი ახტი-გადახტი, დიდი გადაგხდება ფრახტი!...

ან და თუ გენებებათ მეორე ფაკტია კიდევ. გადავეკიდე, საუბედუროთ ამ ლანჩხუთელ კორესპონდენტს.. ეს მეოთხეთაა მწერს:—ნამდვილი ფაკტია, სამასი კაცით შემიძლია დაგიმოწმოო, რომ...

ეს ის ამბავია, ერთი კაი აქიმი რომ იყო ამას წინათ გურიაში და საქიმოთ აღებული ფული სოფელს შესწირა. იმ აქიმზე მოგახსენებთ, ნიკრისის ქარები რომ შეუყენა ჩვენებურ დასელებს და ახლა იძახიან: ჩვენ გავუთქვიო სახელი და მივეცით დიპლომი, თვარა ყრუ ფერშალი იქნებოდა დღესაკო. ამ ამბავს ვადა გასული აქვს და ეგება ჭორიც იყოს, მარა ვადაჭკორია ყოფილა ვინმე, მეორე ჯორბენაძე (ეს სჯობნებია ყველას!) და მესამე ჭყონია... სამივე დაჭყანვია აქიმს სოფ. ლესაში:—შენ უაქიმე, ფულს ჩვენ ავიღებთ, რაკი სიკეთეს ახდენ და ეს ფული გინდა სოფელს შესწიროო... აქიმსაც ამათთვის მიუნდვია ეს საქმე და თან პირობა დაუდვია:—ღარიბებს არაფერი გადაახდევინოთ და დანარჩენს ათ ათი შაური. ეს პირობა კი დადებულა, მარა სამკითხველოსთვის რამდენი გადადებულა და ვის ჯიბაში რამდენი ჩადებულა, ამის „ბულას“ ინგლისის პარლამენტიც ვერ შეამუშავებსო, თვარა რუსეთის ნორჩი პარლამენტი—რა შუაშია!..

ჭყონია და ჯორბენაძე,
მესამეც ვადაჭკორია,
დასელები არიანო...
არ ვიცი, ეგებ, ჭორია.
ასე გაუთქვეს სახელი
დიპლომი მისცეს აქიმის,—
ვინც ომი გამოუცხადა...
ამბებიც იყო აქ იმის...
ცუდათ ეცეცხლა დასელებს
მოულოდნელი ეს ომი,
როს გაუბრუნა აქიმმა
იმათი ყალბი დიპლომი.

კვირიკე.

საგულისხმოთ.

რა ენა ნახდეს,
ერიც დაეცეს...
წარეცხოს ჩირქი
ტაძარსა წმიდას.

დავესწარი სალამოს, რომელიც იყო გამართული ქათათურ „ქალთა წრის“ ნივთიერი საშვალების გასაძლიერებლათ. —მიზანი ფრიად საგულისხმო და პატივსადებია, ხოლო...

ხოლო გავკადნიერდები და ვიკითხავ: განა ვართ, ვარსებობთ კი ქუთაისში და საზოგადოთ ჩვენში ქართველი ქალები?

აღვიარებ ჩემდა სასირცხოთა და სამწუხაროთ—ფრიად მკირე. ქართველი ქალი იმ ქალს მიქვია, რომელიც დაიბადა ქართველი დედ-მამისაგან, რომელმაც ენა ქართულით ამოიდგა და შემდეგი არ გადაგვარებულა; რომელსაც შესწავლილი აქვს მწარე წარსული თავისი ერისა, მისი ზნე-ჩვეულება, ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება და სხვა (დაახლოებით მაინც), რომელსაც შეგნებული აქვს აწმყო და თანამედროვე მდგომარეობა და გათვალისწინებული მომავალი. ასეთი ქართველი ქალები, ვიმეორებ, სამწუხაროთ, ჩვენში ცოტაა და თუა ისიც ისევ ხანმოთეულ, ძველ პირობებში აღზდილ ქალთა შორის, ვაჟებში კი თითებზე ჩამოსათვლელია.

ჩემის აზრით, თუ ეს შეცთომა, თითქმის უბედურება, არ გასწორდა, ჩვენ მიერვე, ჩვენი ცდითა და საშვალებით აშკარაა—ვერც „ქალთა წრეები“ თავისი მიზნებითა და სურვილებით, ვერც ყიჟინი შეგნებულთა და გულშემატკივართა ვერას გვიშველის: ჩვენში მომრავლდება უფროდაუფრო რიცხვი „გადაგვარებულთა, ეს მრავალნი ჩანთქმენ უმცირესთ და საერთოდ გადავგვარდებით. ახლა თუ ხშირი მოვლენაა, რომ ჩვენებური ქალი აზროვნობს, ფიქრობს სხვა ენაზე და გადმოცემის დროს თარგმნის ქართულზე, რის გამოც მახინჯდება თვით აზრიცა და ენაც, სულ მალე ის გადმოცემასაც ვეღარ შესძლებს ქართულათ. მოწინავე ქალები სხვა ქვეყნებშიც ბევრია, ინგლისელმა სუფრაჟისტ-ქალებმა ლამის თავისი გაიტანონ, ხოლო ეს ჩვენ ფიას ვერ მოაშუშებს. აქ იაჭირია ქართველი ქალი იმ სახით, როგორც ზემოთ მოგახსენეთ და ვსთხოვოთ, სხვათა შორის, „ქალთა წრეს“, უპირველეს ყოველი პროფესიონალური შკოლების მოწყობისა, ხელი შეუწყოს ჩვენ ქალთა გადმოგვარებასა და წმინდა ქართველ ქალთა რიცხვის გამრავლებას. „წრეს“ ამ მიზნის მიწევა არ გაუჭირდება, თუ ყოველ თავის მოქმედებაში იხელმძღვანელებს ზემოთ მოყვანილი უკვდავი სიტყვებით.

ისე კი კერძოთ თითოეულმა ჩვენგანმა უპირველეს ყოვლისა შეგვწავლოთ ენა, რაკი აუცილებელი სურვილი გვაქვს გამოვიდეთ საზოგადოებრივ ასპარეზზე. **თამარ ეკალაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეფეში.

რუსეთი.

(ბეტ. დეპ. სააგ.).

კიევი. სტოლიპინის ძეგლის ამგებ კომიტეტს ძეგლის აგებას შემდეგ ასი ათასი მანეთი თანხა დარჩა. კომიტეტს განზრახვა აქვს შემწირველთა შორის ანკეტა მოახდინოს იმის გასაგებათ, თუ რას უნდა მოხმარდეს ეს ფული.

კოვნო. კოვნოს მახლობლათ გაცარცვის მიზნით ებრაელ გოლბეგას ოჯახი ამოსწყვიტეს. მოკლეს ცოლი, ქმარი, ორი შვილი, ორი მოსამსახურე და ერთი მდგმურიც.

ურალსკი. 20 ნოემბერს ავათ გახდა ოთხი კაცი, მოკვდა 14, ავათ არის 16.

ჩელიაბინსკი. 15—21 ნოემბრამდი ციმბირში გადასახლდა 937 კაცი და 366 „ხოდოკი“. უკან დაბრუნდა 655 კაცი და 688 „ხოდოკი“.

პეტერბურგი. მდინარე ნევაში წყალი ეკვსი ფუტი ადიდდა.

უცხოეთი.

ბერლინი. ელზას-ლოტარინგიის საქმეებზე რეიხსტაგის აზრის გამოთქმას შემდეგ კანცლერმა სთქვა: ჩემის აზრით, ელზას-ლოტარინგიის კონსტიტუციის წინააღმდეგ არ წასულვარ. ყოველივე იქაურ მეფის მოადგილის თანხმობით მოვიმოქმედეო.

პარიზი. ცნობაა,—პუანკარემ კაიოსთანა და რიბოსთან ბაასს შემდეგ უარი სთქვა, რომ კაიოს კაბინეტის შედგენა მინდობოდაო. კაიოს რიბო არჩია, მაგრამ რიბოს თანხმობა არ განუცხადებია.

სტამბოლი. ხმა გავრცელდა:—დღევანდელი კაბინეტი სამსახურს თავს ანებებსო. დიდი ვეზირის ადგილზე სამხედრო მინისტრს იზეტ-ფაშას ასახელებენ.

რომი. დეპუტატთა პალატაში სეფესიტყვის საპასუხო დედნის შემუშავების დროს რესპუბლიკანელი ბარსილალი იტალიისა და ავსტრიის დამოკიდებულებას შეეხო. ორატორმა სთქვა: ამ სახელმწიფოთა დამოკიდებულება მაგონებს იმ შენობას, რომელიც მუდამ შეკეთებას საჭიროებს. შემდეგ იგი შეეხო ამ სახელმწიფოთა პოლიტიკას ალბანეთის საკითხში.

პარიზი. „ჰავასის“ ცნობით პუანკარემ რიბოს სთხოვა კაბინეტის შედგენა. რიბომ უპასუხა: ვეჭვობ, რომ ჯანმთელობამ ამის ნება მომცესო. გადაწყვეტილ პასუხს რიბოსგან პუანკარე ხვალ მიიღებს.

ლონდონი. გრეტუსტერის რკინის გზის მოსამსახურენი გაიფიცენ. სამხრეთ-უელსში მატარებლების მიმოსვლამ შესამჩნევათ იკლო. საქონლის გადატანა-გადმოტანა შესწყდა.

პარიზი. ნიუიორკიდან ჩამოსული სუფრაჟისტი ქალი პანკგერსტი დააპატიმრეს.

ბერლინი. ელზას-ლოტორინგიაში მყოფს ჯარის უფროსს მეფემ უბძანა: სამხედრო პირთა და მოქალაქეთა შორის მშვიდობიანობა აღადგინეო.

კალკუტა. რატუმში, აფრიკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ინდუსების შეევიწროების გამო საპროტესტო მიტინგი გაიმართა. მიტინგზე ბევრი ილაპარაკეს ინგლისის წინააღმდეგ.

ლონდონი. ლიბერალთა მიტინგზე საგარეო პოლიტიკის შესახებ გრეიმ სიტყვა წარმოსთქვა. გრეიმ განაცხადა: შეიძლება წინასწარმეტყველება იმისა, რომ მომავალში მშვიდობიანობა იქნება. ამისათვის საჭიროა კეთილი ნება მთავრობის ორივე მხრისა. მთავრობა ყოველ ღონისძიებას მიიღებს და ეცდება მშვიდობიანობის დამყარებას. ორატორის აზრით, არის საზღვარი, რომლის იქითაც გადაბიჯება არ შეიძლება.

გრეტუსტერნის ლიანდაგზე რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვა ძლიერდება. კარდირიის მემანქანეებმა გადასწყვიტეს, გაფიცულებს შეუერთდენ; მათი გაფიცვა მატარებლების მიმოსვლის სრულ შეჩერებას გამოიწვევს.

ზოგიერთ მაღაროში მუშაობა შეაჩერეს. მიზეზ თ ნახშირის გაუყიდველობას ასახელებენ.

რომი. პოლიტიკურ წრეებში ამბობენ, იმის განზრახვა რომ ეგეიის ზღვის მახლობლათ სახელმწიფოებს ტერიტორია არ შეეძინათ, მარტო ინგლისს კი არ ეკუთნის, არამედ დიდ სახელმწიფოებსაც.

ბუდაპეშტი. „პრესბიურო“ გავრცელებულ ხმებს, ვითომ რუსეთსა და სერბიის შორის ხელშეკრულობა დადებულიყოს, უარყოფს. უარყოფს იმ ცნობასაც, თითქოს სერბია—ბულგარეთის ხელშეკრუ-

ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲡᲐᲮᲚᲘ
ი. ᲒᲝᲙᲘᲔᲚᲘᲡ ᲝᲕ—ᲒᲘᲡ
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ.

ერთათ ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჯიის თესლის

Ხ. ᲮᲠᲘᲡᲢᲝᲤᲝᲠᲝᲕᲘᲡ.

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტეშობამდე ... თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელშიც 200 კოლოფიი ექვს მისხლიანი.

მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ.

ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის სახლში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია **ლევანტი ეძგთიძეს ძე ნუტუბიძე**, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.

Ვ. Შ. ᲕᲘᲚᲘᲐᲠᲝᲕᲘᲡᲐ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ,

მოეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელეუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მვირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშეა.

პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.

ლობა სამ ეგზემპლიარათ დაიწერაო.

ტოკიო. კუნძ. ფორმოზის ადგილობრივი მცხოვრებნი პოლიციის სამართველოს თავს დაესხენ. ქალაქ ტაიციუსში მოკლეს პოლიციის ოფიცერი და მძიმეთ დასჭრეს პოლიციის ორი მოხელე, ადგილობრივი მცხოვრებლების მხრით ორია მოკლული. შეტაკების მიზეზი ისაა, რომ ჩინეთმა გადასწყვიტა იაპონიიდან მოიწვიოს ინსტუკტორები მანჯურიაში ჯარის საქმეთა სარეორგანიზაციოთ. იაპონიის სამხედრო სამინისტრო აცხადებს, ჩინეთს ამის შესახებ ოფიციალური წინადადება არ მოუკიაო.

პარიზი. პრეზიდენტმა დაავალა დიუპუის კაბინეტის შედგენა.

ბრაგა. სლავიანთა მეფუტკრეების შემდეგი სხდომა მოხდება პრაგაში 1914 წლის აგვისტოში.

რომი. დეპუტატთა პალატაში სეფე სიტყვის სიპასუხო დედნის შემუშავების შესახებ მსჯელობას განაგრძობენ. სოციალისტთა ლიდერი კურატი ამბობს: დღევანდელ პალატას შეუძლია ხალხის სურვილების გამოხატვა, ვინაიდან ხალხს საყოველთაო სარჩევნო უფლებები ქონდა მინიჭებულიო. სხვა ორატორებიც კიცხვენ მთავრობის პოლიტიკას.

დაბა-სოფელი.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ. როგორც მკითხველებმა უკვე იციან, აგერ ერთი წელიწადია, რაც აქ დაარსებულია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება. მას ამ დროებით ექვსას-შვიდას მანეთამდი ფული ხელთა აქვს, მაგრამ გამგეობა აზის ამ ფულს კრუხივით და არაფერ საქმეს არ კიდებს ხელს. რომ გული იყოს, ამ მცირე ფულითაც გაკეთდებოდა რამ. უნდა გამოტეხით ითქვას, რომ ახლანდელი გამგეობის თავჯდომარეს ბევრი რამ უშლის ხელს. ავათმყოფობა და სახელმწიფო სამსახურის მდგომარეობა ნებას არ აძლევს თავისუფლათ გაუძღვეს ამ სასარგებლო საქმეს, ისე თავისუფლათა და ენერგიულათ, როგორც ამას ნამდვილი საჭიროება მოითხოვს. აბა, რას უნდა მივაწეროთ, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ერთი საზოგადო კრება არ მომხდარა. ერთსა და იმავე პირებს ფული ხდებათ:—ეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების განყოფილება, ეს სამკითხველო, ეს საკრებულო დარბაზი და, კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი სხვა რამეებზე ხდებათ ხარკი და არც კი იციან, თუ რა მდგომარეობაშია მათი წვლილისგან დაარსებული საქმეები. საჭიროა, მეტი საქმიანობა და არა შენ-ჩემობა და კინკლაობა. საჭიროა, საზოგადოების აზრსაც გაუწიონ ანგარიში.

ამ დღეებში აქ გაიმართა ქართული წარმოდგენა ადგილობრივი სამკითხველოს სასარგებლოთ. შემოსავალი 150 მანეთამდი იყო. წარმოდგენა ჩინებული იყო.

თფილისელი გაზეთის „ფიქრის“ მე 2№-ში წერილი იყო მოთავსებული ზუგდიდიდან, სადაც ვინმე სანდრო შონია უსაყვედურებს ადგილობრივ ინტელიგენციას—ადგილობრივ სამკითხველოში ქართულ-ჟურნალ გაზეთების სრულებით უქონლობას. დასელთა ორგანოში მოთავსებული ეს პატარა წერილი იმდენათ შეიცავს სიმართლეს, რამდენათაც, საზოგადოთ, დასელები სიმართლეს ემსახურებიან. არათუ ასეთს ნორჩ სამკითხველოს და ისიც უბრალო დაბაში, მგონი ქალაქის სამკითხველოებშიც არ მოიპოვება იმდენი გაზეთი, რამდენიც აქ არის. გამოწერილია სულ 19 ჟურნალ-გაზეთი, რომელთაგანაც ცხრა ქართულია, დანარჩენი—რუსული. აი, ქართული ჟურნალ-გაზეთები: „განათლება“, „ჯეჯილი“, „მოსავალი,“ „სახალხო გაზეთი“, „ერი“, „თემი“, „შინაური საქმეები“ და „მერცხალი“.

ᲣᲒᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲝ.

წერილები რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ წერილს.

განსვენებული გიგა ჯუღელის ნაცნობ-მეგობრებმა გადავსწყვიტეთ მისი პანაშვიდი გადაგვეხადა ფოთის დიდი კუნძულის ეკლესიაში. ეკლესიის ღვდელს ბეგლარ კაჭარავასთან საჭირო მოლაპარაკების გამართვა მე მომანდვეს.

17 ოკტომბერს ვინახულე მამა ბეგლარი და ვსთხოვე, 20 ოკტომბერს, კვირას, წირვას შემდეგ გადაეხადა პანაშვიდი, რაზეც სრული თანხმობა გამომიცხადა, და მირჩია, წერილობით ოფიციალურათ მიმეწერა მისთვის, რათა მას ეს წერილი ღვდელმთავრისთვის ეჩვენებია, რომ პანაშვიდი მისი ნებართვით მთელს კრებულს გადაეხადა. მეც ასე მოვიქეცი და სრული იმედით, რომ პანაშვიდი უეჭველათ გადიხდებოდა, შეუდექი განსვენებული გიგას ნაცნობ-მეგობართა მოწვევას. მიუხედავათ ეკლესიის სიშორისა, 20 ოკტომბერს, ხსენებულს ეკლესიაში ჩვენი ქვეყნიდან გადახვეწილის, უდროოთ წუთისოფელს მოწყვეტილის—გიგას პატივის საცემათ საკმაო რიცხვი შეიკრიბა.

წირვის დროს მე კიდევ შევეკითხე მამა ბეგლარს, მან მიპასუხა ყველაფერი მზათ არისო.

წირვა დასრულდა. პანაშვიდი დაიწყეს, მაგრამ ჩვენგან შეკვეთილი კი არა, სხვისი. ისიც გათავდა და ღვდელმთავარი და თანამწირველი სამღვდელოება სამოსელის გახდას შეუდგენ. სამღვდელოებამ სავალდებულო სამახური მოისტუმრა... ყველა სახლისკენ გაეშურა. ჩვენ კი პირში ჩალა გამოვლებული სახტათ დავრჩით. ჩემს აშფოთებას საზღვარი არ ქონდა. სრულიად უმიზეზოთ, საზოგადოება მოტყუებული დამირჩა. მოვითხოვ მამა ბეგლარისგან პასუხს,—რათ ჩაიდინა ეს? მანამდე კი ზნეობრივ მოვალეობათ მიმაჩნია—ბოდიში მოვიხადო იმ პირთა წინაშე, ვინც გიგა ჯუღელის პანაშვიდზე მოწვევით, 20 ოკტომბერს, მამა კაჭარავას წყალობით, უნებლიეთ მოტყუებული დამირჩა.

პატივისცემით ალექსანდრე დდონტი.

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

ᲛᲔᲒᲕᲜᲐᲮᲔᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲝᲗ!

1913 წლის ღვინის მოსავლს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო.

ამერიკული ვაზის სანერგე **„ᲙᲚᲝ ᲟᲔᲚᲣᲠᲣᲚᲘ“** ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამეხობს ხსვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცსანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტ, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოს—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჯშელი ჯიშის ვაზი „ლო“-ზე დამენილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი სალვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და მელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიიეილის ქუჩაზე მმ. გოკიელის სახლში ვ. ტიეგო.



ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).
Ა. ᲗᲐᲑᲐᲒᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ.

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი. ფასები ძლიერ დაკლებულია. ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.

გამოცემა „სორავანისა“
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ
დასურათებული
ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ 1914 წ.
შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ
ᲤᲐᲡᲘ 2 ᲐᲑᲐᲖᲘ

კალენდრის კარდონი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ათი ფერი სადებავით სუფთად და ლამაზათ.

ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ 1914 წ.
დასურათებული.
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. ᲤᲐᲡᲘ 1 ᲐᲑᲐᲖᲘ.

კალენდრები იყიდება საქართველოში ყველგან.

ვისაც ბარტიით ეიდგა სურს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: თფილისი, მალთოფის კუნძული, სტამბა „სოფანანი“.

Გ. ᲒᲝᲠᲓᲐᲫᲘᲡᲐ ᲓᲐ Შ. ᲬᲔᲠᲔᲗᲚᲘᲡ

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის კოსმეტიკურის, იური სტეფანეს ძის ნეზავ-მაღლევის ბემსკის მინაბის ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“

ᲠᲙᲘᲜᲔᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ:

საუკეთესო
ქარხნებისგან
მიღებული რკინეული
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელეკტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
ვაჭრობა პარტიათა და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ.

გმელდება ხელისმოწერა ჟურნალ **„სასოფლო გაზეთზე“**

24 ამ თვეს შესრულდება ჟურნალის არსებობის ერთი წელიწადი, მიიღება ხელისმოწერა 1914 წლისათვის. წლიური ფასი ჟურნალისა 4 მანათი, ნახევარი წლის 2 მანეთი. ფულის შემოტანა შეიძლება ორ ჯერათ: 2 მანეთი დაკვეთისთანავე, 2 მანათი 1 მაისისთვის.

მთელი წლის ხელისმომწერს გაეგზავნება ბოსტნეულობის და საკვები ბალახის თესლები და წიგნაკები.

ფულის გამოგზავნა შეიძლება ამ ადრესით: Кутаисъ. Селскохозяйственная школа Александру Шаращидзе.

აქციონერული საზოგადოება.
ს.-პეტერბურგის **ქიმიური ლაბორატორიისა**
იზმაილოვის პროსპ. № 27.
პარიზი 1900 ᲝᲥᲠᲝᲡ ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲗ ნიუ-ნოგგ 196.

ᲙᲑᲘᲚᲘᲡ ᲫᲚᲔᲥᲡᲘᲠᲘ
უალრესი ღირსების.

ХИМИЧЕСКАЯ ЛАБОРАТОРІЯ. С. ПЕТЕРБУРГСКАЯ. ЗАВѢДЫВО ДЕПАРТАМЕНТУ ТОРГОВЛИ И МАНУФАКТУРЪ

როგორც საამო სუნელოვანი და მარგე ნივთიერებისგან შეზავებული კბილის ედექსირი ს.-პეტერბურგის ქიმიური ლაბორატორიისა კახდა ტუალეტის უსაჭიროეს საგნათ. **კბილის პარაშოკი** და **კბილის პასტა** (ნაუოფის შგენიდან შეზავებული კბილის გასაწმენდი წამალი) იყიდება ყველა კავკასიის სასაუთიაქო მაღაზიასა და აფთიაქში.

ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ ᲐᲒᲐᲜᲝ

ᲩᲠᲔᲡᲘᲚᲘ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲕᲐᲚᲘᲗ ᲐᲮᲘᲚᲘᲗ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲓᲔᲑᲘᲗ.

ᲑᲠᲔᲡᲘᲚᲘᲡ

ᲛᲔᲠᲕᲔᲤᲐᲡᲘ ᲛᲗᲘᲡ ᲐᲔᲠᲖᲔ

ᲛᲛ. ᲟᲝᲠᲟᲝᲚᲐᲫᲔᲔᲑᲘᲡ

შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმები) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.